# 1 ႨႠႬႥႠႰႨ

რიგ. ქ. IV კვირა [IV] მწ

(19.I) წმ. ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

2მეფ 24,2.9-17; ფს 31; ლკ 6,1-6

## მიჯობს უფლის ხელში ჩავვარდე, რადგან დიდია მისი მოწყალება 2მეფ 24,14

მეფე დავითმა შესცოდა როდესაც დაენდო თავისი ჯარის ძალას: ამის გამო სასჯელი ეკუთვნის. მას გამოცდილი აქვს საკუთარ თავზე ღვთიური გულმოწყალება და შესაძლო სასჯელებს შორის ირჩევს შავი ჭირის სამ დღეს, ვიდრე სამ თვის მანძილზე მტრებისაგან ლტოლვას. მან იცის, რომ უმჯობესია იტანჯო ღმერთის ხელში, ვიდრე ჩავარდე ადამიანების ხელებში. გმადლობ, მამაო, რომ გვრზდი, რათა გენდოთ მხოლოდ შენ, და ცოდვაში შეგიცნოთ და გამოვცადოთ შენი გულმოწყალება.

# 2 თებერვალი

უფლის ტაძრად წარდგენა (მირქმა) (დ) [ს] თ

## 2012 ხუთშაბათი

მალ 3,1-4 (ან: ებრ 2,14-18); ფს 23; ; ლკ 2,22-40
ბერ-მონაზონთა დღე (საკრებულოებში)

# ახლა კი გამიშვი, უფალო, შენი მონა მშვიდობით ლკ 2,29

სიმეონისათვის იესოსთან შეხვედრა არის ღმრთისათვის დახარჯული ცხოვრების აღსრულება. ახლა ის თავისი თვალებით ხედავს მესიას და შეუძლია წავიდეს თავის მამებთან და სამარადისოდ დატკბეს „ღმერთის მადლით“. გმადლობ, იესო, შენთან შეხვედრის გამო. გმადლობ მათთვის, ვინც დატკბა ამ მადლით და განუცხადა სამყაროს შენი სახის ნათელი.

3 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

რიგ. ჟ. IV კვირა [IV] მწ

წმ. ბლაზი, ეპისკოპოსი და წამებული;
წმ. ანსგარი (ოსკარი), ეპისკოპოსი.

2012 ႧႤႡႤႰႥႠႪႨ

სირ 47,2-13; ფს 17; მთ 6,14-29

## დაიუნჯეთ ცაში მთ 6,20

გმადლობ, იესო, შენი წმიდა რჩევისათვის, მვირფასი დარიგებისათვის; შენმა წმიდანებმა ცხოვრებაში განახორციელეს ის. მათი შეწევნით გვატარე და დაგვიცავი ამ შენს გზაზე: საგანძური გროვდება ზეცაში აშინ, როცა სატანჯველთა შესამსუბუქებლად ქრება ის დედამიწიდან.

# 4 თებერვალი

რიგ. ჟ. IV კვირა [IV] მწ

2012 შაბათი

3მეფ 3,4-13; ფს 118; მარ 6,30-34

## უამბეს მას ყველაფერი, რაც გააკეთეს მარ 6,30

გმადლობ იესო, შენი მოწაფეების ღვთიური სიყვარულისა და სიბრძნით დამოძღვრისათვის. შენ აძლევ მათ თავმდაბლობისა და შენთან ზიარების სული წმიდას, ისე, რომ მათ სურთ მოგანდონ შენ ყველაფერი რაც გააკეთეს შენდამი მორჩილებით. საღამოს ჩემი სინდისის გამოცდისას, მსურს გითხრა შენ არა მხოლოდ ჩემი ცოდვები, არამედ კონკრეტული მორჩილებანი შენი სიტყვისადმი!

# 5 ႧႤႡႤႰႥႠႪႨ

რიგ. ჟ. V კვირადღე, «ბ» [I] მწ

## 2012 ႩႥႨႰႠ

იობ7,1-4.6-7; ფს146; 1კორ9,16-19.22-23; მარ1,29-39

## მოჰკიდა მას ხელი და წამოაყენა მარ 1,30

იესო ხსნის მისი მამის სასუფეველს. გამოდის კაპერნაუმის სინაგოგიდან და შედის სიმონის სახლში. მას ელაპარაკებიან მის ავადმყოფ სიდედრზე. იესო სიყვარულით ეხება და სიცხეც ტოვებს მას. ქალი დგება და მსახურობს. ქრისტემ ჯანმრთელობა მოგვანიჭა არა იმისათვის რომ მთელი კვირა დღე გართობაში გავატაროთ, არამედ მის ეკლესიაში სამსახურად.

6 თებერვალი

რიგ. ჟ. V კვირა [I] მწ

წმმ. პავლე მიკი და მეგ., წამ. (მ) †1597

2012 ორშაბათი

3მეფ 8,1-7.9-13; ფს 131; მარ 6,53-56

## ღრუბელმა აავსო უფლის სახლი 3მეფ 8,10

ღრუბელი, რომელიც წინ უძღოდა ისრაელს უდაბნოში დღე და ღამე, ახლა ავსებს ტაძარს, რომლის შენებაც დაასრულა მეფე სოლომონმა.

გმადლობ, მამაო, ღრუბლისათვის, რომელიც ტაძარში შენს ყოფნას აცხადებდა. გმადლობ, იესო, რომ ახლა შენ ხარ ღვთის ახალი ტაძარი, სადაც მკვიდრობს სულის ღრუბელი, რათა გაგვინათოს და მიგვიყვანოს მამასთან!

# 7 თებერვალი

რიგ. ქ. V კვირა [I] მწ

## 2012 სამშაბათი

3მეფ 8,22-23.27-30; ფს 83; მარ 7,1-13

## მათი გული კი შორსაა ჩემგან მარ 7,6

იესო კითხულობს ესაიას და ხედავს იმ შენიშვნას, რომელიც წინასწარმეტყველმა გააკეთა თავის დროს. ის მიმართავს ფარისევლებს და მწიგნობრებს, მოსულთ იერუსალემიდან, რათა გამოეკვლიათ მისი მოძღვრება: ცდილობს მათი თვალთმაქცი ქცევის შესწორებას, როდესაც ისინი ხალხის დასანახად კოპწიაობენ, ზურგსუკან კი ცრუობენ და ძარცვავენ უპრობლემოდ.

გმადლობ, იესო, მათთვის, ვინ მეხმარება ჩემი ქცევის შესწორებაში, რათა ჩემი განწყობები იყო მამის სიყვარულის გამოვლინება ადამიანებისადმი.

# 8 ႧႤႡႤႰႥႠႪႨ

რიგ. ყ. V კვირა [I] მწ

წმ. იერონიმე ემილიანი, †1537;
წმ. იოსეფინა ბახიტა, ქალწული,†1947;
(26.I) წმ. დავით აღმაშენებელი

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

3მეფ 10,1-10; ფს 36; მარ7,14-23

## კურთხეულია უფალი, რომელმაც მოგისურვა 3მეფ 10,9

ჩვენ ქრისტიანები თავმდაბლობით ვღებულობთ იესოს მადლს მისი ეკლესიის მეშვეობით, რათა შევძლოთ ვემსახუროთ მას სიყვარულითა და ერთგულებით, მაშინ ისიც ვინც არ არის ქრისტიანი, პოულობს დახმარების ხელს, რათა ადიდოს ღმერთი და სწამდეს იგი.

# 9 ႧႤႡႤႰႥႠႪႨ

რიგ. ჟ. V კვირა [I] მწ

2012 ႾႳႧႸႠႡႠႧႨ

3მეფ 11,4-13; ფს 105; მთ 7,24-30

## ვერ შეძლო დაფარვა მარ 7,24

იესოს სურდა მარტო დარჩენილიყო თავისიანებთან, ბრბოსაგან შორს. გმადლობ, იესო, ყველა იმ ადგილისათვის, სადაც შეგვიძლია შენთან განმარტოვება: იქ შენ შეგიძლია მოგვისმინო და გვიპასუხო იმაზე, რასაც თავმდაბლობით გთხოვთ, რათა განგვამტკიცო და დაგვიხსნა იმისაგან, რაც ხელს გვიშლის მთელი გულით გვწამდეს შენი სიტყვის.

# 10 თებერვალი

რიგ. ჟ. V კვირა [I] მწ

წმ. სქოლასტიკა, ქალწ. †≈542 (მ)

2012 პარასკევი

3მეფ 11,29-32; 12,19; ფს 80; მარ 7,31-37

## ცას ახედა და ამოიოხრა მარ 7,34

იესო დაშორდა ბრბოს და გაჰყვა ყრუ-მუნჯს. ეძებს ერთობას თავის მამასთან და უცქერის მას: შეიძლება იყოს დარწმუნებული, რასაც ითხოვს, მოხდება!

გმადლობ, იესო, იმ შვებისათვის, რასაც ვიღებ შენი ხმის მოსმენისას და შენი ყურადღებისას, როცა მღვდელმსახურის მეშვეობით მაძლევს მიტევების სიტყვას.

# 11 თებერვალი

რიგ. ქ. V კვირა [I] მწ
ლურდის ღვთისმშობელი (უმანკო ჩასახება) 1858 (29.I) წმ. აშოტ დიდი კურაპალატი, წამებ.

2012 შაბათი

3მეფ 12,26-32; 13,33-34; ფს 105; მარ 8,1-10

სნეულთა დღე.

## ცოდვაში ჩავარდნამ გამოიწვია რომ წარიხოცა მიწის პირისაგან 3მეფ 13,34

ცოდვა, რომელზეც აქაა საუბარი იერობოამის ცოდვაა, ისრაელის მეფისა, რომელმაც აიძულა თავისი ხალხი თაყვანი ეცათ კერპებისათვის. ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია „იაჰვეს რისხვა“, რომელმაც წლების განმავლობაში გააქრო თავად მეფის შთამომავლობა. ყოველთვის ცოდვაა, ანუ, ღმერთისათვის ზურგის შექცევა, წუთისოფლის გაპარტახების მიზეზი: ამისათვის მამამ მიანიჭა ლურდის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მისია მოუხმოს თავის შვილებს სინანულსკენ!

# 12 თებერვალი

რიგ. ჟ. VI კვირადღე, «ბ» [II] მწ

## 2012 კვირა

ლევ13,1-2.45-46; ფს31; 1კორ10,31–11,1; მარ1,40-45

# ყოველი მხრიდან მიედინებოდნენ მასთან მარ 1,45

შენ, იესო, მიუხედავად იმისა, რომ კეთროვნისათვის ხელის ხლებით უწმიდურად მიგიჩნევენ მაინც გეძებს ხალხი. გმადლობ, იესო, რომ დღეს მეც შემიძლია შენთან მოსვლა და ევქარისტიაზე დასწრება. გმადლობ, რომ შემიძლია შეგეხო, მეტიც, მიგიღო ჩემში და გავავრცელო შენი სახელის ძალა.

# 13 თებერვალი

რიგ. ჟ. VI კვირა [II] მღ

## 2012 ორშაბათი

იაკ 1,1-11; ფს 118; მარ 8,11-13

## მდიდარი კი გადაივლის, როგორც ბალახის ყვავილი იაკ 1,10

ეს ღვთის სიტყვა გვეხმარება მნიშვნელობა არ მივცეთ მატერიალურ სიკეთეს, პატივებს, ადამიანებისგან დაფასებას, კეთილდღეობას: მთავრია, რომ ჩვენი ცხოვრება მამა ღმრთის მოსაწონი იყოს, ჰგავდეს იესოს ცხოვრებას, თავმდაბლობასა და სიყვარულში.

# 14 თებერვალი

წმ. კირილე, (†859) და მეთოდი (†885)
ევროპის მფარველნი [ს] თ

# 2012 სამშაბათი

ეს 52,7-10; ფს 116; ლკ 10,1-9

## ანუგეშა უფალმა თავისი ერი ეს 52,9

ჩვენი ღმრთის ცდის თავის ერს და აგრეთვე ანუგეშებს მას. ასე დაემართათ ისრაელიანებს ბაბილონში ჩაგვრის ათწლეულების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა არ მოქცეულა, ღმერთმა მაინც გაათავისუფლა ისინი.
გმადლობ, მამაო, რომ დღევანდელი მფარველების მეშვეობით დაგვეხმარები გადავლახოთ გამოცდა, რასაც ქრისტიანი ხალხი განიცდის დღეს ევროპაში.

# 15 ႭႵႲႭႫႡႤႰႨ

რიგ. ჟ. VI კვირა [II] მწ

## 2012 ႭႰႸႠႡႠႧႨ

იაკ 1,19-27; ფს 14; მარ 8,22-26

# მიუყვანეს ბრმა და ევედრებოდნენ, რომ შეხებოდა მას მარ 8,22

იესომ ეს ესაა დაასრულა საუბარი იმ ფარისევლებთან, რომლებსაც სურდათ ნიშანი ციდან. ახლა კი ის აძლევს მათ შემდგომ ნიშანს იმისა, რო იგია მესია. ეხება ბრმის თვალებს და კურნავს მას. ბრმა ფარისევლებსაც იმისათვის, რომ ირწმუნონ იგი, მართებთ გაეხსნან მის სიყვარულს.

გმადლობ, იესო, რომ შეგვიძლია გიხილოთ და შენში დავინახოთ მამის სიყვარული.

16 თებერვალი

რიგ. ჟ. VI კვირა [II] მწ

2012 ხუთშაბათი

იაკ 2,1-9; ფს 33; მარ 8,27-33

## შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი იაკ 2,8

ამ სიტყვებშია მშვიდობის გზა ყოველი ადამიანისათვის. როცა მომეცა მადლი შემეცვალა ჩემი გეგმები მოყვასის დასახმარებლად, გული მშვიდობით და სიხარულით ამევსო!

მოდი, სულიწმიდაო, კვლავაც წარმიძეხ!

17 თებერვალი

რიგ. ჟ. VI კვირა [II] მწ
ნეტარ ქალწული მარიამის მსახურთა ორდე-
ნის შვიდნი დამფუძნებელნი

2012 პარასკევი

იაკ 2,14-24.26; ფს 111; მარ 8,34-9,1

## რწმენა მკვდარია საქმეთა გარეშე იაკ 2,26

**მართალია, რომ როცა ნამდვილად მრწამს იესო ქრისტესი ჩემი ცხოვრება ნათდება მისი სიბრძნით და სიყვარულით, მისი სიმამაცით, მშვიდობითა და სიხარულით. იესო, გამიცოცხლე ჩემი რწმენა შენში, რომ იყოს მწიფე, რათა ვადიდო და ვაქო მამა.**

# 18 თებერვალი

რიგ. ჟ. VI კვირა [II] მღ

2012 შაბათი

იაკ 3,1-10; ფს 11; მარ 9,2-13

## კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა მარ 9,5

იესოსადმი მორჩილება, მის კვალში სიარული ყველაგან, არ მივყავართ მხოლოდ ჯვართან, არამედ მშვიდობასა და სიხარულთან, რომელიც ჩვენ მის მოწმედ გვხდის. სულო წმიდაო გვაქციე ყურადღებიანი და მორჩილი უფლის ნებისადმი!

# 19 თებერვალი

რიგ. ჟ. VII კვირადღე, «ბ» [III] მწ

## 2012 კვირა

ეს43,18-19.21-22.24-25; ფს40; 2კორ1,18-22; მარ2,1-12

## შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები მარ 2,5

**იესო, როცა მეგონა, რომ ცოდვა იყო მხოლოდ შეცდომა, ვერ ვხდებოდი ამ შენი სიტყვების სიმშვენიერეს. ახლა კი მიხარია, რომ შენი შვილი ვარ, მაშინაც როცა ვცდები და შენ შეგიძლია და გინდა განმკურნო, რათა ვიყო შენთან, როგორც შენთან თანამოღვაწე. ამაზე მეტს ვერც ვიმე-დოვნებ და ვერც ვინატრებ! გმადლობ!**

# 20 ႧႤႡႤႰႥႠႪႨ

რიგ. ყ. VII კვირა [III] მწ

2012 ႭႰႸႠႡႠႧႨ

იაკ 3,13-18; ფს 18; მარ 9,14-29

## ნუ ტრაბახობთ და ნუ ცრუობთ ჭეშმარიტების წინააღმდეგ იაკ 3,14

რაიმეთი ტრაბახი ყოველთვის ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. იესომ თქვა: „მე ვარ ჭეშმარიტება“. მას არასოდეს უტრაბახია ამით, არამედ აღიარებდა, რომ ყველაფერი მამისაგან ჰქონდა მიღებული.

# 21 თებერვალი

რიგ. ჟ. VII კვირა [III] მღ

წმ. პიერ დამიანი, ეპ. და ეკლ. მოძ. †1072

2012 სამშაბათი

იაკ 4,1-10; ფს 54; მარ 9,30-37

## დამდაბლდით უფლის წინაშე იაკ 4,10

თავმდაბლობა მშვიდობის გზაა, ხელს უწყობს ერთიანობას, რომლისთვისაც ილოცა იესომ და რომელიც აძლევს საშუალებას ღმერთს, იყოს მთავარი მოქმედი გმირი ჩვენს ურთიერთობებში. უფალო, იესო, ჰქმენ, რომ ვისწავლოთ შენგან თავმდაბლობა!

# 22 თებერვალი

ნაცრისყრის ოთხშაბათი [ს] ი

## 2012 ოთხშაბათი

იოვ. 2,12-18; ფს 50; 2კორ 5,20 - 6,2; მთ 6,1-6.16-18

## შეიწყალე, უფალო, ერი შენი იოვ 2,17

ესაა იოველისა და მთელი ხალხის ნაღვლიანი ლოცვა, რათა ღმერთმა მოაშოროს შიმშილობასა და მტრებისაგან მუდმივი დამარცხებაში გამოხატული დამსახურებული სასჯელი. ესაა ლოცვა, რომელიც შეგვიძლია ავამაღლოთ მამისაკენ ამ დიდმარხვის დროს, რათა დაგვეხმაროს სახარების ახალგაზრდა თაობისათვის გადაცემაში და ქრისტიანული ოჯახების არასტაბილურობის პრობლემის გადაწყვეტაში. მსურს შევუერთდე და ძალისხმევა არ დავაკლო მხურვალე ლოცვით, მარხვისა და მოწყალების გაცემის სხვადასხვა ფორმებით.

# 23 თებერვალი

ხუთშაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV]ი

წმ. პოლიკარპე, ეპ. და წამ., † 155

2012 ხუთშაბათი

რჯლ. 30,15-20; ფს 1; ლკ9,22-25

მამა სტეფანე დემურიშვილის მოხსენიება

## ვინც ჩემი გულისთვის დაღუპავს საკუთარ სიცოცხლეს, იხსნის მას ლკ 9,24

უნდა მიმეღო ძალზე მნიშვნელოვანი და საბოლოო გადაწყვეტილება, მაგრამ რთული იყო. იესოს თაყვანისცემის ლოცვის დროს შინაგანი ხმა მეუბნება: „რას ეძებ?“. მყისვე ვუპასუხე: „იესო, შენს მშვიდობას, სადაც არ უნდა იყოს, ოღონდ შენსას!“. ამ ხმამ მითხრა: „ვისაც სურს თავისი ცხოვრების შენარჩუნება, დაკარგავს მას“. მივხვდი, რომ იესოს ელოდა ჩემგან სუფთა და გულუხვ თანხმობას. დღევანდელი წმიდანიც გვიმოწმებს თუ რაოდენ საშუურია უფლისადმი ჩვენი „ჰო“.

# 24 თებერვალი

პარასკევი ნაცრისყრის შემდეგ [IV]ი

2012 პარასკევი

ეს 58,1-9; ფს 50; მთ 9,14-15

## განა შეუძლიათ იგლოვონ მექორწილეებმა, ვიდრე ნეფე მათთან არის? მთ 9,15

რატომაა რომ იესო სიხარულისაკენ მოგვიწოდებს ახლა, როცა შევუდექით სინანულისა და დიდმარხვის გზას? ის ჩვენს „ნეფედ“ ცხადდება და სურს აღგვავსოს თავისი სიყვარულით. ვეზიაროთ მის ვნებას და დავუთმოთ მას ადგილი ჩვენში მარხვის მსხვერპლით, იგი კი აღდგომის დღეს გვიზიარებს ჩვენ თავის გამარჯვებას ჩვენს სისუსტეებსა და მის კვალზე შედგომის ჩვენს შიშზე.

# 25 თებერვალი

შაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV]ი

2012 შაბათი

ეს 58,9-14; ფს 85; ლკ 5,27-32

## გამომყევი! ლკ 5,27

უდიდესი მადლია იყო მოწოდებული იესოს მიერ და გაჰყვე მას. ყოველი ქრისტიანი მოწოდებულია იცხოვროს მასში, თუმცა კი სხვადასხვა სახით: ზოგი ოჯახში, საბერმონაზვნო საკრებულოში, ზოგი როგორც მღვდელმსახური, აღმზრდელი, ზოგი სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში უანგარო მსახურებით...

აი მეც, უფალო იესო, წარმიძეხ დღეს და მუდამ!

# 26 ႧႤႡႤႰႥႠႪႨ

დიდმარხვის I კვირადღე «ბ» [I] ი

2012 ႩႥႨႰႠ

დაბ 9,8-15; ფს 24; 1პეტ 3,18-22; მარ 1,12-15

## მოექეცით და იწამეთ სახარება მარ 1,15

არ არის საკმარისი გწამდეს რომ იესო ღვთის ძეა! ეს არ იძლევა სიმშვიდესა და სიხარულს, საჭიროა რომ ის გახდეს „ყველაფერი“. და როგორ შეგვიძლია მიგვაჩნდეს, როგორც მავანს მიაჩნია, რომ იესო არ კმარა სიცოცხლის ასავსებად საეროსთვისაც?

იესო, გმადლობ: მე ვიხილე მამაკაცები და ქალები, ახალგაზრდები და ხანდაზმულები, რომელთათვისაც შენ ნამდვილად ხარ ყველაფერი!

# 27 ႧႤႡႤႰႥႠႪႨ

დიდმ. ჟ. I კვირა [I] ი

## 2012 ႭႰႸႠႡႠႧႨ

ლევ 9,1-2.11-18; ფს 18; მთ 25,31-46

## შეიყრება მის წინაშე ყოველი ერი მთ 25,32

სამყაროს აღსასრულს ძე კაცისა მოვა თავისი დიდებით, რათა განიკითხოს ყოველი ადამიანი, რასისა და სარწმუნოების მიუხედავად. რა საზომით განკითხავს? იმისდა მიხედვით, მიიღო და დაეხმარა თუ არა მშიერ, მწყურვალ, შიშველ, სნეულ, პატიმარ ძმებს.

გმადლობ, იესო, დიდმარხვის ამ ჟამისათვის რომელშიც მზერას მივარჯიშებ, რათა დავინახო და ყურადღება მივაქციო შენს ტანჯულ ძმებს.

# 28 თებერვალი

დიდმ. ჟ. I კვირა [I] ი

2012 სამშაბათი

ეს 55,10-11; ფს 33; მთ 6,7-15

## იყავნ ნება შენი მთ 6,10

იესო ასწავლის ლოცვას თავის მოწაფეებს. იმისათვის, რომ იყვნენ შვილნი, უნდა ეცადონ აღასრულონ მამის ნება. მან თავად მოგვცა მაგალითი ზეთისხილი ბაღში, როცა თქვა: „მამაო... აღსრულდეს ნება შენი და არა ჩემი“.

# 29 ႧႤႡႤႰႥႠႪႨ

დიდმ. ჟ. I კვირა [I] ი

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

იონ 3,1-10; ფს 50; ლკ 11,29-32

## დაინახა ღმერთმა მათი საქმეები იონ 3,10

ნინეველებმა, დიდიან პატარიანად, იონას სიტყვებში ამოიცნეს ღვთის ხმა. მიხვდნენ თავიანთი ქმედებების სიბოროტესა და ხელთა ძალადობას და ითხოვეს ღვთიური გულმოწყალება ორმოცდღიანი მარხვით.

გმადლობ იესო მარხვის გამოცდილებისათვის: ესაა ლოცვა, რომელსაც შენ სიამოვნებით შეისმენ, რადგან არაა ოდენ სიტყვებით.